

სტუდენტის უფლება-მოვალეობები

სტუდენტი უფლებამოსილია:

1. მიიღოს სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი უმაღლესი განათლება;
2. მიიღოს მონაწილეობა სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში;
3. ისარგებლოს სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა რესურსებით;
4. საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი ან თავად იქნეს არჩეული სტუდენტურ თვითმმართველობაში, სკოლისა და სასწავლო უნივერსიტეტის მმართველ ორგანოებში დაწესებულების ნორმატიული აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად;
5. სასწავლო უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად მიიღოს ფინანსური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;
6. თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და უარი თქვას იმ იდეების გაზიარებაზე, რაც მიუღებელია სასწავლო უნივერსიტეტის ფასეულობებიდან გამომდინარე;
7. სწავლების მეორე წლიდან კანონმდებლობითა და მიმღები დაწესებულების დადგენილი წესით, სხვა აკრედიტირებულ პროგრამაზე გადასვლისას გადაიტანოს სახელმწიფო სასწავლო/სამაგისტრო გრანტი, კანონმდებლობით დადგენილი წესით;
8. ერთი სემესტრის შემდეგ ისარგებლოს შიდა მობილობის უფლებით საქართველოს კანონმდებლობისა და სასწავლო უნივერსიტეტის ნორმატიული აქტების შესაბამისად;
9. აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა, მონაწილეობა მიიღოს პროგრამის შემუშავებასა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაში;
10. ხარისხის მართვის სამსახურთან თანამშრომლობით პერიოდულად მიიღოს მონაწილეობა აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასებაში;
12. შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლებისაგან მიიღოს საჭირო ინფორმაცია (სწავლის საფასურის გადახდის, არჩევითი სასწავლო კურსების, შეფასების შესახებ და სხვა);
13. ლექტორთან ერთად განიხილოს საგამოცდო ნამუშევარი და მიიღოს უკუკავშირი, აგრეთვე სტუდენტთა საინფორმაციო სისტემაში ნიშნების შეტანის შემდეგ, გაასაჩივროს საგამოცდო ნამუშევარი.
14. განახორციელოს სასწავლო უნივერსიტეტის ნორმებით, მასთან დადებული ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებები.

სტუდენტი ვალდებულია:

1. საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმითა და სასწავლო უნივერსიტეტის მოთხოვნების შესაბამისად შეისწავლოს მის მიერ არჩეული და სავალდებულო კომპონენტებით გათვალისწინებული მასალა;
2. დაიცვას სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და ეთიკის კოდექსით მოთხოვნილი ნორმები;
3. გაუფრთხილდეს და დაიცვას სასწავლო უნივერსიტეტის უძრავი და მოძრავი ქონება;
4. იმოქმედოს სანიტარული, სახანძრო უსაფრთხოებისა და სხვა ზოგადი წესების შესაბამისად;
5. შეასრულოს მასთან დადებული ინდივიდუალური ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
6. გადაიხადოს სწავლის საფასური წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით